ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N159

ქალაქი ბათუმი **05.07.2023 წელი**

ერთი მხრივ, **შპს "სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი"** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის **ციური აბულაძის** სახით მეორე მხრივ, **შპს „დათანატა"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი როლანდ ქამადაძის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ს-1 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი, მიწოდების ვადა

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ფასთა ცხრილში მითითებული საქონელი ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურების შესაბამისად.

1.2. საქონლის მიწოდების ვადა **2023 წლის 14 ივლისამდე**

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და დაფინანსების წყარო

2.1. შესყიდვის ობიექტების ჯამური ღირებულება შეადგენს **1556.40 (ათას ორას ოთხმოცდასამი) ლარს**

- 44500000-ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჯაჭვები და ზამბარები/რესორები-234 ლარი
- 44100000-სამშენებელო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები - 212 ლარი
- 42100000 - დანადგარები მექანიკური ენერგის წარმოებისა და გამოყენებისთვის - 199 ლარი
- 24900000 - სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები - 246 ლარი
- 44400000 - სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალა და მასთან დაკავშირებული საგნები - 234 ლარი
- 31300000 - იზოლირებული მავთული და კაბელი 30 ლარი
- 44900000 - სამშენებლო ქვა, კირქვა, თაბაშირი და აპიდური ფიქალი - 3 ლარი
- 44800000 - საღებავები, ლაქები და მისტიკები - 234 ლარი
- 39200000 - ავეჯის აქსესუარები - 13 ლარი
- 39800000 - საწმენდი და სპრიალებელი პროდუქცია - 151 ლარი

2.2. სახელშეკრულებო თანხა ითვალისწინებს როგორც საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით მიმწოდებლისთვის დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. დაფინანსების წყარო- საკუთარი შემოსავლები

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებულ საქონელზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და სასაქონლო ზედნადების/საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შეთხვევაში, თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია) დადასტურებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები (შემსყიდველის მხრიდან - სამეურნეო განყოფილების უფროსი ნოდარ ფალავანდიშვილი) მიღება ჩაბარების აქტის ან ზედნადების საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სათანადოდ უფლებამოსილი პირები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებენ შესყიდვის ობიექტის მიღებას, ხოლო თუკი ნივთი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება ან ნაკლიანი ნივთის შეცვლა ნივთებზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად.

5.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია:

5.2.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება, ასევე საქონლის მიწოდების ხარისხის პერიოდული კონტროლი;

5.2.2. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6. დაუძლეველი ძალა

6.1.ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

6. 2.დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეების კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას წყალდიდობით, ხანძრით, მიწისძვრით და სხვა სტიქიური მოვლენებით, საომარი მოქმედებებით, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვით, აგრეთვე სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი, მხარეების ნებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

6.3. დაუძლეველი ძალის გამოვლენის შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, დამაბრკოლებელ გარემოებათა დასრულებამდე.

6.4. დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ, ასევე ვალდებულების შესრულების შეუსრულებლობის 3 სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ. თუ მეორე მხარე არ დათანხმდა ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება, 6.2. პუნქტის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ფარგლებში.

7.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

8.2.პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა სახელშეკრულებო თანხის 10%-ს ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

9.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **2023 წლის 4 აგვისტომდე** მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.
11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
11.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
11.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.
11.5. ხელშეკრულება ხელმოწერილია, შტამპდასმულია ელექტრონული ფორმით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი:	შემსყიდველი:
შპს "სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი"	შპს „დათანატა“
მის:ქ, ბათუმი, ქათამაძის ქ. №11 ს/კ 245418392	მის: ქ. ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქ., No38 ს/ნ 445488650 ს.ს. „თი ბი სი ბანკი“ ა/ა GE63TB7709 3360 5010 0001
დირექტორი ციური აბულაძე	დირექტორი როლანდ ქამადაძე

Salikh Abashidze Regional Center for AIDS and Tuberculosis Infectious Diseases Ltd
Digitally signed by Salikh Abashidze Regional Center for AIDS and Tuberculosis Infectious Diseases Ltd
Date: 2023.07.05 11:10:01 +04'00'

Roland Kamadadze
Подписано цифровой подписью: Roland Kamadadze
Дата: 2023.07.05 11:07:28 +04'00'

ფასთა ცხრილი

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	შემრევი ონკანი B181068 FAUCET	ცალი	1,00	50,00	50,00
2	ბოქლომი TJ-80MM	ცალი	1,00	12,00	12,00
3	შხაპის შლანგი მეტალის გოფრით 2 მ	ცალი	4,00	12,00	48,00
4	ონკანის წყლის სამვები დრეკადი მილი ჩამკეტით	ცალი	4,00	9,00	36,00
5	კარის საკეტი T5 AF958-93 (L-R)	ცალი	2,00	37,00	74,00
6	ლითონის ტრაპი RU131 floor drain	ცალი	1,00	27,00	27,00
7	4.11-8x120- 800 დუბელ ლურსმანი	ცალი	10,00	0,30	3,00
8	ცილინდრული გულანა VENDA 68 მმ	ცალი	1,00	12,00	12,00
9	KETTLER-15916 KT3047SB-10 სამზარეულოს შემრევი Black Flexible Crow	ცალი	1,00	84,00	84,00
10	სილიკონი 310 მლ	ცალი	4,00	9,00	36,00
11	როზეტი 2ბ ჩ 16A(თ) ეკფ-მინსკი	ცალი	2,00	7,00	14,00
12	კარის საკეტის გულანა ULTRA 70MM	ცალი	1,00	10,00	10,00
13	KETTLER-95748 KT3047SG-9 სამზარეულოს შემრევი სილიკონის ცხვირით ნაცრისფერი Alessia 304	ცალი	1,00	85,00	85,00
14	კარის საკეტის გულანა 90MM	ცალი	3,00	10,00	30,00
15	Lux Garden TL-029 ტრიმერის ძუა5.0mmX326m,square twist	მეტრი	10,00	1,00	10,00
16	სჭვალი მუყაო.თაბაშ 3,5*41 ხეზე	ცალი	100,00	0,03	3,00
17	გამაფრქვეველი სილიკონი WD40	ცალი	1,00	8,00	8,00
18	Kettler-44115 დაწნული მილი F1/2 X 30CM	ცალი	2,00	6,00	12,00
19	8501 ბათქაში ARGIPS SATIN 25კგ	ცალი	1,00	14,00	14,00
20	TOL25-15066 ქანჩის გასაღები ორმხრივი მრგვალი ბოლოებით 12*13MM	ცალი	1,00	6,00	6,00
21	IMPULS ANTIPAS ანტიკოროზიული საღებავი სინთეტიკური ნაცრისფერი. 3კგ (СЕРЫЙ)	ცალი	2,00	22,00	44,00
22	IMPULS TINER სინთეთიკური გამხსნელი 0.5lt	ცალი	1,00	4,00	4,00
23	0167 სამღებრო ჩოთქი 3"	ცალი	3,00	3,00	9,00
24	IMPULS TINER სინთეთიკური გამხსნელი 0.7lt	ცალი	1,00	6,00	6,00
25	ცილინდრული გულანა VISTAV 70 Z5CSN2 35-35	ცალი	1,00	10,00	10,00
26	298 პლასტმასის სკობი შეკვრაში 6mm	ცალი	1,00	3,00	3,00
27	სიფონი	ცალი	1,00	6,00	6,00

28	საღებავი Эмаль ПФ-115 STATUS ЖЕЛТАЯ 20KG	ცალი	1,00	85,00	85,00
29	შემრევი ონკანი FAUCET MP-2005H	ცალი	2,00	37,00	74,00
30	პლასტმასის საფარდე კარნიზი 2-ნი Dar Plast	მეტრი	3,00	3,00	9,00
31	9.13-M8-500 ჩამკეტი	ცალი	4,00	1,50	6,00
32	ელ. სადენი H05VV-F (TTR) 2X2.5 - (სამმაგში)	მეტრი	12,00	2,50	30,00
33	4' LÜ TOPRAKLI KLEMENSLİ GRUP PRİZ/დამიწებიანი გამაგრძელებელი4-ნი	ცალი	2,00	6,00	12,00
34	შემრევი ონკანი FAUCET 1	ცალი	1,00	60,00	60,00
35	სიფონი 100 იანი თავით თავით	ცალი	1,00	12,00	12,00
36	SYNTHETIC THINNER (0.510 MLT) გამხსნელი	ცალი	2,00	8,00	16,00
37	MONOTIP Special Antirust Gloss Enamel 1/1 / გრუნტ-საღებავი ბოლო პირი 3 in 1 0.750 მლ. - 3001	ცალი	1,00	25,00	25,00
38	0168 სამღებრო ჩოთქი 4"	ცალი	1,00	4,00	4,00
39	ლითონის გასაჭედი დუბელი შაიბით 8X10X100	ცალი	3,00	0,80	2,40
40	PERMOLIT PERMOSIL Silicone Exterior Paint 20/1 P-BASE / სილიკონის ფასადის საღებავი კომპიუტერისთვის (PERMOSIL P/B) 20 კგ.	ცალი	1,00	170,00	170,00
41	KETTLER-81700 KT-2420C-1 ხელსაბანის შემრევი Andrea	ცალი	1,00	60,00	60,00
42	Kettler-44535 დაწნული მილი F1/2xM10(80mm)x1 X 50CM	ცალი	2,00	7,00	14,00
43	სილიკონი NEOX PU MASTİK 280ML GRİ	ცალი	2,00	14,00	28,00
44	VESBO FASAD ემულსიის ფასადის საღებავი 23.4კგ	ცალი	1,00	80,00	80,00
45	KETTLER-21925 KT-2740C-1 ხელსაბანის შემრევი Hildi	ცალი	1,00	75,00	75,00
46	სარქველი ბურთულიანი PPR Ø20mm Vesbo	ცალი	5,00	13,00	65,00
47	მოქნილი (დრეკადი) შლანგი ონკანის (კობრა) 60 სმ	ცალი	2,00	8,00	16,00
48	KH103 ქურო ქანჩით 20*1/2F	ცალი	3,00	6,00	18,00
49	მუხლი ქანჩით შ.ხ. PPR 90° Ø20mm 1/2" Vesbo	ცალი	1,00	5,00	5,00
50	112.1B.A04.E00 T PART 20mm სამკაპი VESBO	ცალი	1,00	1,00	1,00
51	112.1B.A03.E00 ELBOW 20mm 45° მუხლი VESBO	ცალი	15,00	1,00	15,00
52	სამაგრი (ხამუთი) 20 მმ პლ.	ცალი	6,00	0,50	3,00
53	112.1B.A01.E00 SOCKET 20mm ქურო VESBO	ცალი	4,00	0,50	2,00
54	მუხლი ორმაგი კედლის შ.ხ. PPR Ø20mm 1/2" (112.1B.B34.EQ0) Vesbo	ცალი	1,00	13,00	13,00
		ჯამი (GEL):	**240,00**		**1556,40**

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბათუმი **04.07.2023 წ.**

ვადასტურებთ, რომ შპს „სალიხ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის“ მიერ“ გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

შპს „სალიხ აბაშიძის, ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი“
დირექტორი: ციური აბულაძე